მათი  სპექტაკლები მრავალჯერ იქნა აღიარებული და დაჯილდოვებული. მიღებული აქვს სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილისა  და სანდრო ახმეტელის პრემიები.
თეატრს ჰქონდა წარმატებული გასტროლები – 1990 წელს ზაგრებში და 1995 წელს კაიროს ფესტივალზე.
2007 წელს თეატრს შეუსრულდა 25 წელი. ეს თარიღი, ქართული თეატრის დღეს – 14 იანვარს, ფართომასშტაბიანი იუბილეთი აღინიშნა.

მმართველი – თამაზ გოლაძე

# Sandro Akhmeteli Drama Theatre

## Tbilisi

About Theater:

Tbilisi's Sandro Akhmeteli Drama Theatre was founded in 1981 by director Leri Paksashvili. In 1988 the theatre added director Sandro Akhmeteli's name to its title. Over the decades the theatre has attracted prominent figures in theatre whose many productions have achieved repeated public recognition, as well as receiving the state Sandro Akhmeteli and
Kote Marjanishvili Prizes. Productions by the theatre have also been critically acclaimed when toured internationally.

საკონტაქტო პირი:
თამაზ გოლაძე
ტელ.: +995 322 65 72 77
მობ.: +9955 99 17 65 02
მისამართი: თბილისი, ვეკუას ქ. 8

Contact Person:
Tamaz Goladze (Theatre Manager)
Tel.: +995 322 657 277
Mob.: +9955 99 176 502
Address: Tbilisi, Vekua Str. 8

სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი -
ოთარ ბაღათურია
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გაფორმება ლექსო ტურიაშვილის
ქორეოგრაფი - ბაქარ ხინთიბიძე
რეჟისორის ასისტენტი - რუსუდან შოშიტაშვილი

მონაწილეობენ:
ანა მატუაშვილი, გია ჯაფარიძე, კოტე მჟავია, შალვა ბახტაძე, ვაკო მანძულაშვილი, ლექსო ტურიაშვილი, ვაჟა ციცილოშვილი, ვალერი ტორონჯაძე, ვასო შიხაშვილი.

ხანგრძლივობა: 80 წუთი
პრემიერა შედგა 2010 წელს

სპექტაკლის შესახებ:
სპექტაკლი „ჭურში" რეჟისორმა ოთარ ბაღათურიამ ქართული ფოლკლორის გამოყენებით შექმნა. ეს არის პატრიოტულ თემაზე აგებული კომპოზიცია, სადაც სიუჟეტური განვითარებით ერთმანეთს ენაცვლება სიმღერა, ლექსი და ცეკვა. მოქმედება თანადროულობიდან ისტორიულ წარსულში გადადის და უკანვე ბრუნდება. ნაჩვენებია ქართველი ერის გმირული წარსულის პატრიოტული სულისკვეთება, ქართველი კაცის ბუნება, ადათ-წესებისადმი პატივისცემა.
ჭურის ფორმის რესტორანში მოქეიფენი დროს ატარებენ. მათი ღრეობით გაბეზრებული მიმტანები სულმოუთქმელად ელოდებიან სუფრის აშლას. ამ დროს თანამეინახეების ხელსახოცები შემოაკლდებათ. მიმტანი წიგნიდან ამოგლეჯილ ფურცლებს მიაწვდის. ასე აღმოჩნდება მოქეიფეთა ხელში ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსი". წიგნის ზოგიერთი ფრაგმენტის ამოკითხვის შემდეგ ყველას ერთხმად აღმოხდება – ეს რა მშვენიერი ქვეყანა გვქონიაო! და იწყებენ სახელოვანი წარსულის გაცოცხლებას.

# In the Pitcher

Author of Staged Version and the Director: Otar Bagaturia
Designer:  Aivengo Chelidze
Background Music: Lexo Turiashvili
Choreographer: Bakar Khintibidze
Assistant of Director : Rusudan Shoshitashvili

Cast:
Ana Matuashvili; Gia Jafaridze; Kote Mjavia;Shalva Bakhtadze; Vako Mandzulashvili; Lexo Turiashvili; Vazha Tsitsiloshvili; Valeri Toronjadze;Vaso Shixashvili

Duration: 80 minutes
Premiered in 2010

About Performance:
The play is based on Georgian folklore. With Georgian singing, poetry and dance the performance shows heroic past of Georgian people with the patriotic aspiration. Work, feast and battle episodes, customs – life of Georgians in the periods of war and peace, today and in past is interrelated on the stage.

# ღია შუშაბანდი

შადიმან შამანაძე

## პრემიერა

დამდგმელი რეჟისორი - დიმიტრი ხვთისიაშვილი
მხატვარი - აივენგო ჭელიძე
მუსიკალური გაფორმება ლექსო ტურიაშვილისა (სპექტაკლში ჟღერს ინოლა გურგულიას სიმღერა ავტორისეული შესრულებით)
რეჟისორის ასისტენტი - რუსუდან შოშიტაიშვილი

მონაწილეობენ:
ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მარინა ხარშილავა, მამუკა მაზავრიშვილი, ზურაბ წიკლაური

ხანგრძლივობა: 80 წუთი

სპექტაკლის შესახებ:
თანამედროვე ქართველი დრამატურგის შადიმან შამანაძის პირველი პიესა „ღია შუშაბანდი" ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დრამატული ნაწარმოებია. იგი დაიდგა საქართველოს თითქმის ყველა თეატრში, რაც უდავოდ განაპირობა სათქმელის აქტუალობამ. პიესის პერსონაჟთა ხასიათები საშუალებას აძლევს რეჟისორებს სპექტაკლში საინტერესო აქტიორული სახეები გამოკვეთონ.
ამჯერად, რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის არჩევანი, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა ახმეტელის თეატრის აქტიორულმა შემადგენლობამ და არჩევანმა გაამართლა.
მაყურებელი გულგრილი არ დარჩება კაპანაძეების ოჯახში დატრიალებული ამბების მიმართ. საერთო გაჭირვების, უმძიმესი სოციალური ფონის მიუხედავად, პერსონაჟები მაქსიმალურად ცდილობენ არ დაკარგონ ადამიანური სახე და ის მთავარი ღირებულებები, რისთვისაც არსებობს ადამიანი ამქვეყანად.

# Unfinished Terrace

By Shadiman Shamanadze

## Show Case Premiere

Director: Dimitri Khvtisiashvili
Designer: Aivengo Chelidze
Music Director: Lekso Turiashvili
Assistant Director: Rusudan Shoshitaishvili
Producer: Tamaz Goladze

Cast:
Nugzar Kurashvili, Tamar Bejuashvili, Amiran Kachibaia, Gvantsa Kandelaki, Marina kharchilava, Mamuka mazavrishvili, Zurab Tsiklauri

Duration: 80 minutes

About Performance:
The first drama script by contemporary Georgian playwright Shadiman Shamanidzer Unfinished Terrace is one of the most popular and most frequently directed play in Georgia. The drama has been played in almost all theaters throughout the country. Quality and realism of the play and distinct characters of cast give stage directors opportunity to create remarkably illustrious and memorable images. Director Dimitri Khvtisiashvili and Akhmeteli Theater artistes present viewers with truly unforgettable act - despite impoverishment and destitution the Kapanadze family members are fighting for self, for dignity, for values they live by.

# ახალი თეატრი
## თბილისი

თეატრის შესახებ:

ახალი თეატრი ჩამოყალიბდა 2010 წლის 9 დეკემბერს, ნიკოლოზ საბაშვილის ხელმძღვანელობით. არსებობდა თეატრალური სახელოსნო, რომელიც დაკომპლექტებული იყო სტუდენტებით და ახალგაზრდა ხელოვანებით. აქ იდგმებოდა ექსპერიმენტული სპექტაკლები. თეატრალური წარმოდგენების რაოდენობამ და მაყურებლების ინტერესმა განაპირობა სახელოსნოს თეატრად ჩამოყალიბება. დღეს თეატრს ჰყავს თავისი დასი და აქვს ჟანრობრივად ერთმანეთისგან განსხვავებული სპექტაკლები.

# New Theatre
## Tbilisi

About Theatre:

New Theatre was founded in 2010 by Nikoloz Sabashvili- stage director. Before the establishment of the theater, young artists and students of Theater University were working in a studio, staging experimental performances.
The theater has its own very small company and small stage.

საკონტაქტო პირი:
ნიკოლოზ საბაშვილი
ტელ: +995 593 57 50 20
ელ.ფოსტა: axaliteatri@gmail.com; sabashvili-nika@mail.ru
მისამართი: თბილისი, კიევის ქ. 8

Contact Person:
Tata Michitashvili
Mob.: +995 55 447 117
E-mail: axaliteatri@gmail.com

# ქაღალდის წვიმა

ნიკოლოზ საბაშვილი



ავტორი და რეჟისორი - ნიკოლოზ საბაშვილი
მხატვარი - ხათუნა ჩიტაია
კომპოზიტორი - თამაზ იმნაძე
რეჟისორის თანაშემწე - ნინი ბეღელური

მონაწილეობენ:
ირაკლი გოგოლაძე, გიორგი შალამბერიძე, ირაკლი ცქიფურიშვილი, გიორგი ტატიშვილი, ქეთი შარაშიძე

ხანგრძლივობა: 80 წუთი
პრემიერა შედგა 2010 წელს

სპექტაკლის შესახებ:
სპექტაკლი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რამდენიმე ნოველისაგან შედგება, ოთხი კლოუნის ურთიერთობა სასაცილო, კომიკურ და, ამავე დროს, სევდიან სიტუაციებს ქმნის. სპექტაკლში უხვადაა იმპროვიზირებული მომენტები. ჯამბაზები ეძებენ ადგილს, სადაც ბედნიერად იცხოვრებენ. საბოლოოდ ხვდებიან, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება ერთად ყოფნაა, თუმცა მაინც ებრძვიან ერთმანეთს. სპექტაკლის ფინალში ჯამბაზები ბრძოლაში მაყურებელსაც აიყოლიებენ, ბრძოლის იარაღი კი ბუშტები და ქაღალდებია.



# Paper Rain

By Nikoloz Sabashvili

Text and Director: Nikoloz Sabashvili
Assistant to Director: Tata Michitashvili
Composer: Tamaz Imnadze
Costumes Designer: Khatuna Chitaia

Cast:
Irakli Gogoladze, Giorgi Shalamberidze, Irakli Cqifurishvili, Giorgi Tatishvili, Kate Sharashidze

Duration: 80 minutes
Premiered in 2010

About Performance:
The performance consists of several independent novels. There are four clowns whose relationship creates funny, comical and sad situations. The performance is also interesting in that the actors improvise and the audience becomes an
accomplice. Clowns in the performance are searching for the environment, where they will live happily, but the search of the clowns ends with the realization that their happiness depends on each other. Final of the performance clowns fighting with participate balloons and papers.



# ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
## ბათუმი

თეატრის შესახებ:

ბათუმის თეატრი არსებობის 125 წელზე მეტს ითვლის, თუმცა მისი ფესვები უფრო შორეული წარსულიდან მოდის. 1879-1911 წლებში ბათუმში სისტემატურად იმართებოდა სცენის მოყვარულთა წარმოდგენები, რასაც ხელს უწყობდნენ იმ პერიოდის ქართული თეატრის ცნობილი მოღვაწეები. 1884 წელს სცენის მოყვარულთა ინიციატივით აიგო პატარა ხის შენობა წარმოდგენებისათვის, რომელიც 450-მდე მაყურებელს იტევდა. 1889 წელს კი ააგეს კლუბის ტიპის შენობა. 1913 წელს ბათუმში შეიქმნა დრამატული საზოგადოება, რომელმაც ითავა თეატრის ხელმძღვანელობა. 1937 წლის 18 მარტს საზეიმოდ გაიხსნა ბათუმის ახალი თეატრი. 2007 წელს თეატრის მმართველად დაინიშნა ცნობილი კინორეჟისორი ზაზა ხალვაში.

სამხატვრო ხელმძღვანელი – გიორგი თავაძე
მმართველი – ზაზა ხალვაში

# Ilia Chavchavadze Batumi State Drama Theatre

## Batumi

About Theatre:

The Ilia Chavchavadez Batumi State Drama Theatre has its origins in 1879, when the Black Sea region of Ajara was returned to Georgia after the Russian -Turkish War. By then the shows were staged in Batumi by amateurs, attracting professional Georgian directors and actors. In 2005 Robert Sturua was invited to Batumi as an artistic director and the following year one of his students, director Giorgi Tavadze, succeeded him. Sturua continues as an artistic consultant up to the present. In 2007 the film director Zaza Khalvashi was appointed the theatre's general manager.

საკონტაქტო პირი:
ზაზა ხალვაში
ტელ.: +995 422 270613;
მობ.: +9955 93 33 03 09
ელ.ფოსტა: khalvashizaza@gmail.com
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის ქ.1

Contact Person:
Zaza Khalvashi (General Manager)
Tel.: +995 422 27 06 13;
Mob.: +9955 93 33 03 09
Address : Batumi, Rustaveli str.1
E-mail: khalvashizaza@gmail.com
WWW.BATUMITHEATRE.GE

# გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი

მატეი ვიშნეკი



რეჟისურა, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება
გიორგი თავაძის
რეჟისორის თანაშემწე - თეონა ლორთქიფანიძე

მონაწილეობენ:
რამაზ იოსელიანი, ტიტე კომახიძე, მამუკა მანჯგალაძე

ხანგრძლივობა: 90 წუთი
პრემიერა შედგა 2011 წელს

სპექტაკლის შესახებ:
მოხუცი ჯამბაზების შესარჩევი კონკურსი ტარდება. სწორედ აქ შეხვდება ერთმანეთს სამი ხანდაზმული ჯამბაზი. ძველ მეგობრებს ძალიან დიდი ხანია ერთმანეთი არ უნახავთ. ისინი სამოვნებით იგონებენ ერთად გატარებულ წლებს, აჩვენებენ უამრავ საცირკო ნომერს და ბოლოს....



# We Need The Old Clown

By Matei Visniec



Director, Designer, Music Adaptation:
Giorgi Tavadze
Assistant to Director: Teona Lortkipanidze

Cast:
Ramaz Ioseliani, Tite Komakhidze, Mamuka Manjgaladze

Duration: 90 minutes
Premiered in 2011

About Performance:
Three old clowns meet each other after many years in a place where old fool casting for the old clowns is held. Old friends are remembering their youth and times spent together. They play circus show in front of people.

# ივანე მაჩაბელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

## ცხინვალი

თეატრის შესახებ:

ცხინვალის ივანე მაჩაბელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი 1876 წელს დაარსდა. პირველი სპექტაკლები ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ივანე და ზაალ მაჩაბელების თაოსნობით იდგმებოდა.
1929 წლიდან თეატრს მიენიჭა სახელმწიფო სტატუსი. 1991 წელს, ცხინვალში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, თეატრი იძულებული გახდა მშობლიური კერა მიეტოვებინა და თბილისს შეაფარა თავი. ამჟამად ფუნქციონირებს ეროვნული მუსიკალური ცენტრის შენობაში.

მმართველი – ზაალ თედიაშვილი

# Ivane Machabeli State Drama Theatre
## Tskhinvali

About Theatre:

Tskhinvali's Ivane Machabeli State Drama Theatre was founded in 1876 by a group of theatre lovers. The first performances were staged on the initiative of Ivane and Zaal Machabeli, who were prominent intellectuals. In 1929 the theatre was awarded state status by the Soviet Georgian government. In 1991 the theatre was forced to leave its hometown and moved to Tbilisi. At present it is based at the National Music Centre.

საკონტაქტო პირი:
ლელა როსტომაშვილი (დასის გამგე)
ტელ.: +995 955 75 05 33
ელ.ფოსტა: machabelitheatre@yahoo.com;
rostomashvililela@ymail.com
მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 127

Contact Person:
Lela Rostomashvili (Cast Head)
Tel.: +995 955 75 05 33
E-mail: machabelitheatre@yahoo.com; rostomashvililela@ymail.com
Address: Tskhinvali, Aghmashenebeli Avenue 182

WWW.BATUMITHEATRE.GE

# უჩინმაჩინის ქუდი

გიორგი ერისთავი



რეჟისორი - გოჩან კაპანაძე
მხატვარი - ქეთევან ციციშვილი
მუსიკალური გაფორმება ნანა ნემსიწვერიძის
რეჟისორის თანაშემწე - ლელა როსტომაშვილი

მონაწილეობენ:
გიორგი რეხვიაშვილი, მადონა ტეხური, მამუკა პავლიაშვილი, თაია გოგიძე, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი მთავრიშვილი, ანა ხურციძე

ხანგრძლივობა: 100 წუთი
პრემიერა შედგა 2011 წელს

სპექტაკლის შესახებ:
ვაჭარი მარტირუზა ჯადოსნურ უჩინმაჩინის ქუდზე ოცნებობს, უნდა, რომ თავის ახალგაზრდა ცოლს, სუსანას, უთვალთვალოს. ასეთივე სურვილი ჰკლავს მარტირუზას მსახურს, კიკოლის, რომელიც ქალბატონის მოახლე ვარდოზეა შეყვარებული. ამ ამბავს მარტირუზას სტუმარი ოფიცრები, ივანე და სვიმონი შეიტყობენ. მოწყენილი ოფიცრები, გართობის მიზნით, მარტირუზას და კიკოლის გამასხარებას გადაწყვეტენ. ფრანგი მოცეკვავე მადმუაზელ ღუღუს დახმარებით ატყუებენ ორივეს. ბატონსა და მსახურს თავი უჩინარი ჰგონიათ, ოფიცრები კი ხალისობენ.
ფინალში ყველაფერი ირკვევა. გაწბილებული მარტირუზა კვლავ ჯადოსნური უჩინმაჩინის ქუდის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობს...



# Invisible Magic Hat

By Giorgi Eristavi

Director: Gocha Kapanadze
Designer: Ketevan Tsitsishvili
Musical director: Nana Nemsitsveridze
Assistant director: Lela Rostomashvili

Cast:
Giorgi Revazishvili; Madona Tekhuri; Mamuka Pavliashvili, Taia Gogidze, Beqa Goderdzishvili, Giorgi Mtavrishvili, Ana Khurtsidze

Duration: 85 minutes
Premiered in 2011

About Performance:
Merchant Martiruza dreams to get the invisible magic hat, to watch his young wife Susani. The same wish kills Martiruza's servant Kikoli, who is in love with the lady's servant Vardo. Young officers, Svimon and Ivane, who are Martiruza's guests, find out about this. Martiruza and Kikola both are jealous to the officers. The officers feel bored and for entertainment they decide to make a laughing-stock of Martiruza and Kikoli. With the help of French dancer mademoiselle Gugu the officers trick them both. They give them ordinary hats instead of the magic ones. While fooled Martiruza and Kikola think, that they are invisible, the officers are having a good time.
In the end everything clears up. Deceived Martiruza still dreams to get invisible magic hat...



# ნიღბების თეატრი
## ქუთაისი

თეატრის შესახებ:

ქუთაისის ნიღბების თეატრი ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე აღმოცენდა. იგი 1990 წელს დაარსდა. სპექტაკლებში მოქმედება ძირითადათ ნიღბების გამოყენებით ხდება.
თეატრის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია დავით ჯიშკარიანი.
რეპერტუარშია 12 სპექტაკლი, ესენია: „დაჩის ზღაპრები“, „პეპი გრძელი წინდა“, „ბურატინოს თავგადასავალი“, „კარლსონი და ბიჭუნა“, „სალამურას თავგადასავალი“, „ცრუპენტელები“, „სამი გოჭი“, „ბერიკაობა“, „ბაკულას ღორები“ და სხვა.
თეატრი ხშირად მონაწილეობს საქართველოში გამართულ სხვადასხვა სანახაობით ღონისძიებებში. 2010 წელს იმყოფებოდა თურქეთში საგასტროლოდ, სადაც წარმოადგინა ზღაპრული შოუ და დიდი მოწონება დაიმსახურა. 2010 წელს იყო ბათუმის ქართული ხალხური ფოლკლორის ფესტივალის მონაწილე, აჩვენა სპექტაკლი „ბერიკაობა“ და ჟიურის უმაღლესი შეფასება და გრანპრი დაიმსახურა.
2011 წელს კი დურუჯის ფესტივალზე სპექტაკლი ,,ბაკულას ღორები'' ჟიურის მიერ შერჩეულ 5 საუკეთესო სპექტაკლს შორის მოხვდა, ხოლო რეჟისორი დაჯილდოვდა ჟიურის სპეციალური პრიზით.
თეატრი დღესაც აგრძელებს მუშაობას და მაყურებელს მორიგ პრემიერას სთავაზობს.

სამხატვრო ხელმძღვანელი – დავით ჯიშკარიანი

# The Theatre of Masks
## Kutaisi

About Theatre:

The Theatre of Masks, established in 1990, derives inspiration from old Georgian National Traditions of "Berikaoba" (performances with masks) .The theatre is often taking part in various kind of shows and festivals. In 2010 the theatre was in Turkey, where it had performed "Fairy-Tales Show", which had a great success. Last year, the company of actors took part in "Georgian Folk Festival" in Batumi and showed a play "Berikaoba". In this festival all the theatres of Georgia took part and our theatre has got the high estimation and was given the grand prize.

საკონტაქტო პირი:
დავით ჯიშკარიანი
მობ.: +9955 93 25 02 44
მისამართი: ქუთაისი, სოლომონ პირველის ქ. 52

Contact Person:
David Jishkariani (Director)
Tel.: +9955 93 250 244;
Address: N52 Solomon the 1-st str. Kutaisi

# ბაკულას ღორები

დავით კლდიაშვილი



ინსცენირების ავტორი და დამდგმელი რეჟისორი - დავით ჯიშკარიანი
მხატვარი - თემურ არსენიძე
ლოტბარი - ალექსანდრე ჯიმშელეიშვილი
რეჟისორის თანაშემწე - დარეჯან გოგოლაძე

მონაწილეობენ:
თამრიკო სირბილაძე, გოჩა ჭუმბურიძე, თამაზ ჩარგეიშვილი, გიგა გუბელაძე, ნიკა ოკრიბაშვილი, მიხო ჭელიშვილი, დარეჯან გოგოლაძე, ენი ჯახუა, მარი მამასახლისი, ქრისტინე ფხაკაძე, დარინე გუმბერიძე

ხანგრძლივობა: 60 წუთი
პრემიერა შედგა 2011 წელს

სპექტაკლის შესახებ:
პიესაში მოთხრობილია კუდაბზიკა აზნაურის ამბავი, რომელსაც თავად ბევრი არაფერი გააჩნია და სხვისი კი შურს. სპექტაკლი გადაწყვეტილია ძირითადად კლდიაშვილისეული სახასიათო ნიღბებით. მასა, რომელიც ჩართულია სპექტაკლში მეზობლების სახით, ქსოვილებზე გამოხატული დეკორაციების დეტალებით ქმნის შესაფერის გარემოს, შიგადაშიგ ერთვება სპექტაკლში მოსეირე ჭორიკნების სახით, ასრულებს იმერულ სიმღერებს. მთავარი მოქმედი პირი, ზენათი ყველა ღონესა და ხერხს მიმართავს, რომ ხალხს დაინახოს თუ როგორ აწიოკებს მეზობლი ბაკულას ღორები მის ბოსტანს. ზენათის ქმრის ნათესავი, შაშა სასამართლოში მუშაობს. სწორედ მისი იმედი აქვს ქალს და სახლში მოიწვევს. მაგრამ, სტუმრები ისე გამოთვრებიან, პირუტყვზე მეტ საშინელებას სჩადიან, არბევენ იქაურობას და ზენათსა და გალაქტიონს ცემა-ტყეპით უხდიან მადლობას. ცოლ-ქმარი სხვას უგებდა მახეს და....



# The Hogs of Bakula

David Kldiashvili



Director : David Jishkariani
Designer : Temur Arsenidze
Bandmaster : Alexsander Jimsheleishvili
Assistant to Director : Darejan Gogoladze

Cast:
Tamriko Sirbiladze, Tamaz Chargeishvili, Gocha Chumburidze, Giga Okrinashvili, Mikho Chelishvili; Darejan Gogoladze; Eni Jakhua, Mari Mamasakhlisi, Kristine Pkhakadze; Darine Gumberidze

Duration: 60 minutes
Premiered in 2011

About Performance:
The play tells us about swaggering greedy nobleman's mode of life, which has nothing but is very envy to others and around him the others are laughing and amusing to him too. The play on the whole is decided of Kldiashvili's characteristic masks style. The masses including in the lay like neighbors, with decorations on the cloth, make suitable surroundings and take part in the play as the amusement gossips and singing the old Imeretian folk songs.

# ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
## ოზურგეთი

თეატრის შესახებ:

თეატრის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1868 წელი, როდესაც ოზურგეთში გაიმართა სცენისმოყვარულთა წრის პირველი წარმოდგენა. 90-იან წლებში ოზურგეთის სცენისმოყვარულთა წრეს სათავეში ჩაუდგნენ ალექსანდრე წუწუნავა და ვასილ ურუშაძე. 1914 წელს ოზურგეთში ააგეს შენობა თეატრისთვის, რომელიც 1 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა. 1962 წელს თეატრი გადავიდა ახალ შენობაში.
1968 წელს თეტრს მიენიჭა ალექსანდრე წუწუნავას სახელი.
სხვადასხვა წლებში აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მსახიობები, რეჟისორები და მხატვრები.
2005 წელს კულტურის სამინისტრომ და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირმა იგი საუკეთესო რეგიონალურ თეატრად აღიარა. 2009 წელს მონაწილეობდა თურქეთის ბულანჯაკის საერთაშორისო ფესტივალზე სპექტაკლით „ბუტიაობა“ (რეჟისორი შ. ბაბილოძე) და დაჯილდოვდა ფესტივალის დიპლომით.

სამხატვრო ხელმძღვანელი – ოთარ კუტალაძე
მმართველი – ზაზა ჯინჭარაძე

# Alexandre Tsutsunava State Drama Theatre

## Ozurgeti

About Theatre:

The theatre saw its beginnings in 1868 with the first amateur performance in Ozurgeti. In subsequent years, the amateurs were guided by Alexandre Tsutsunava and Vasil Urushadze- stage directors. The building of theatre was build in 1914. Since than Ozurgeti Drama Theatre is a place for many notable actors, directors, conductors and artists. In 1968 the theatre was given Alexandre Tsutsunava's name. In 2005 it was named Best Regional Theatre by the Ministry of Culture and the Theatre Actors' Union.

საკონტაქტო პირი:
ლია კილაძე
(საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი)
მობ. : +9955 98 290 400
ტელ.: +995 322 27 33 73
ელ.ფოსტა:: liakila8@gmail.com
მისამართი: ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. 1

Contact Person:
Lia Kiladze (PR Manager)
Mob. : +9955 98 290 400;
Tel.: +995 322 27 33 73
E-mail : liakila8@gmail.com;
Address: Ozurgeti, Chavchavadze str. #1

# ლალი, სიყვარული და სხვები...

გურამ ბათიაშვილი



რეჟისორი - ოთარ კუტალაძე
მხატვარი - ლომგულ მურუსიძე
მუსიკალური გაფორმება - ნინო გარაყანიძისა
რეჟისორის თანაშემწე - მაკა მამულაიშვილი

მონაწილეობენ:
თეა კეჭაყმაძე, მარგარიტა ავაქიანი, ნელი ბასილაშვილი,ნინო ჯუღელი, ბელა კიკვაძე, თეა ჯიჯეიშვილი, ირაკლი ვადაჭკორია, გიორგი დოლიძე, ვასიკო ჩავლეიშვილი, თემურ კვირკველია, ზაზა ჯინჭარაძე, მამუკა გაგუა, გენადი ნიკოლაიშვილი

ხანგრძლივობა: 75 წუთი
პრემიერა შედგა 2010 წელს

სპექტაკლის შესახებ:
სპექტაკლში „ლალი, სიყვარული და სხვები" ნაჩვენებია თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს მშობლების „მზრუნველობას". შეყვარებული წყვილის ლალისა და დათოს ბედნიერებას წინ აღუდგა დათოს მდიდარი, „ელიტარული" ოჯახი. ბიჭის დედამ ძალადობისა და ტყუილის, ადამიანების მოქრთამვის საშუალებით წყვილი დააშორა და ღარიბი, მშრომელი ოჯახიდან გამოსული გოგონა უმძიმეს სიტუაციაში ჩააგდო. საბოლოოდ კი ლალის მოსაკლავად მოსყიდული თავდასხმელების ტყვიას დათო ემსხვერპლა.

# Lali, Love and Others…

By Guram Batiashvili



Director: Otar Kutaladze
Designer: Lomgul Murusidze
Music Adapted by: Nino Garakanidze
Technical Director: Maka Mamulaishvili

Cast:
Tea Kechakmadze, Margarita Avaqiani, Neli Basilashvili, Nino Jugheli, Bela Kikvadze, Tea Jijieshvili, Irakli Vadachkoria, Giorgi Dolidze, Vasiko Chavleishvili, Temur Kvirkvelia, Zaza Jincharadze, Mamuka Gagua, Genadi Nikolaishvili

Duration : 75 minutes
Premiered in 2010

About Performance:
The play is about relationship between parents and their offsprings. Lali and Dato are in love, but "elite" family of young man Dato is against. His mother uses all possibilities to separate the couple. Lali - the young girl from poor family is in under pressure all the time. In the end, Dato becomes a victim of the bullet, which was bribed by his mother for frightening Lali.

# ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი
## ფოთი

თეატრის შესახებ:
პირველი თეატრალური წარმოდგენა ფოთში 1882 წელს გაიმართა მღვდლის, კირილე მაჟარაშვილის დახმარებით. ამ დროიდან თეატრი ფუნქციონირებს. 1919 წლიდან არსებობს პროფესიონალური დასი. 1925 წელს დაარსდა სახელწიფო დრამატული თეტრი.
2008 წლიდან ფოთის თეატრი ევროპის რეგიონალური თეატრების ქსელის (IETM) წევრია.

მმართველი – თენგიზ ხუხია

# Valerian Gunia Poti State Theatre

## Poti

About Theatre:

Poti's Valerian Gunia State Drama Theatre was founded in 1882. Poti is important harbor in Georgia - Black Sea. It was announced as Free Economic Zone recently. The building of theatre is under reconstruction and will open in 2011, with 2000 m2 stage and 650 seats.

საკონტაქტო პირი:
თენგიზ ხუხია
ტელ. : +995 493 22 85 93
ფაქსი: +995 493 22 15 14
ელ.ფოსტა: tkhukhia@yandex.ru
მისამართი: ფოთი, რუსთველის ქ. 10

Contact Person:
Tengiz Khukhia
Tel. : +995 493 22 85 93
Fax: +995 493 22 15 14
E-mail: tkhukhia@yandex.ru
Address: Poti, Rustaveli Str.#10

# ყვითელი დღეები

დანიელა ჯანჯირი



რეჟისორი - დავით მღებრიშვილი
მხატვარი - თამარ ოხიკიანი
კომპოზიტორი - დავით მღებრიშვილი
ქორეოგრაფი - ირინა კუპრავა
რეჟისორის თანაშემწე - რამინ კილასონია

მონაწილეობენ:
მარიკა ბუკია, გიორგი სურმავა, ჯანო იზორია

ხანგრძლივობა: 70 წუთი
პრემიერა შედგა 2011 წელს

სპექტაკლის შესახებ:
ქალი ცოლად მიჰყვება სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელს. ძმა აფრთხილებს მას არ გადადგას საბედისწერო ნაბიჯი. ძმა და ქმარი ცდილობენ მშვიდობიან თანაცხოვრებას, მაგრამ ეს მაინცდამაინც არ გამოსდით. იწყება სამოქალაქო ომი. ქალის ძმა და ქმარი ფრონტის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდებიან. სამწუხაროდ, მტრობა იმარჯვებს. სასოწარკვეთილი ქმარი გამოსავალს ვერ პოულობს და კლავს ქალს.

# Yellow Days

By Daniela Janjic



Director: David Mgebrishvili
Designer: Tamara Okhikyan
Choreographer: Irina Kuprava
Composer: David Mgebrishvili
Assistant to Director: Ramin Kilasonia

Cast:
Marika Bukia, Giorgi Surmava, Jano Isoria

Duration: 70 Minutes
Premiered in 2011

About Performance:
Ethnic conflicts destroy lives of people, threatens societies. A sister marries a man from the enemy side. But her brother and husband have been fighting against each other. The sister is torn between duty and love. War, ethnic intolerance hatred destroy normal human existence. The family is spited. The result is - death of wife and sister, destroyed family, grief.



# გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
## გორი

თეატრის შესახებ:
1865 წელს გორში, ღარიბთა სასარგებლოდ სცენის მოყვარეებმა გიორგი ერისთავის პიესა „ძუნწი'' წარმოადგინეს – ეს თარიღი ითვლება გორის თეატრის სათავედ, თუმცა პროფესორი სერგო ხუციშვილი, მარი ბროსეს არქივზე დაყრდნობით, თეატრის დაარსების თარიღად 1845 წელს მიიჩნევს. წარმოდგენები იმართებოდა ახალ ბაღში სახელდახელოდ გამართულ როტონდაში. 1874 წელს მწერალმა სოფრომ მგალობლიშვილმა გორში ჩამოაყალიბა სცენის მოყვარეთა მუდმივმოქმედი დასი. 1939 წელს გორში თეატრის ახალი შენობა აიგო. თეატრს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი რეჟისორი პავლე ფრანგიშვილი. 1947 წელს გორის თეატრს მიენიჭა XIX ს-ის 50-იანი წლების ქართველი დრამატურგის, თეატრის აღმდგენელის გიორგი ერისთავის სახელი. თეატრი დღესაც ერთგულია მდიდარი ტრადიციებისა და ღირსეულად განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას.

სამხატვრო ხელმძღვანელი – სოსო ნემსაძე
მმართველი – ნოდარ მდინარიძე

# Giorgi Eristavi State Drama Theatre
## Gori

About Theatre:
The history of Gori's Giorgi Eristavi State Drama Theatre begins in 1865. The present-day theatre building was built in 1939 and started functioning the following year. In 1947 the theatre was named after the 19th-century playwright Giriogi Eristavi, one of the founders of Georgian theatre.
Generations have worked in Gori theatre, Today a new generation works to continue the rich traditions of their predecessors.

საკონტაქტო პირები:
თამარ აბაშიძე (კოორდინატორი)
მობ.: +9955 14 19 50 50

სოსო ნემსაძე
მობ.:+9955 98 17 45 15

მისამართი: გორი, ჭავჭავაძის ქ. 10

Contact Persons :
Tamar Abashidze (Coordinator)
Mob.: +9955 14 19 50 50

Soso Nemsadze(Coordinator)
Mob.:+9955 98 17 45 15

Address : Gori, Chavchavadze Str. 10

# მსხვერპლი

დავით კლდიაშვილი



რეჟისორი - სოსო ნემსაძე
მხატვრები - თამარ ჭავჭანიძე, ბექა სადაღაშვილი
მუსიკალური გაფორმება სოსო ნემსაძის
რეჟისორის თანაშემწე - რუსუდან გიორგაძე

მონაწილეობენ:
ლიკა კევლიშვილი, ნათია მელაძე, ლევან როსტომაული, ჯემალ ჭულუხაძე, ილია ქორქაშვილი თურბენდ რევაზაშვილი, ქიშვარდ მანველიშვილი, დალი ნათელაშვილი, კახა ბერიძე, დარეჯან ჭამაური, ანა ჩოგოვაძე, ზურაბ ხინჩიკაშვილი, მაია ტურაშვილი, მანანა თევდორაშვილი, ნათია ტატულაშვილი.

ხანგრძლივობა: 90 წუთი
პრემიერა შედგა 2011 წელს

სპექტაკლის შესახებ:
სპექტაკლი საზოგადოების წინაშე არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება. ნაწარმოები თვალნათლივ გვიჩვენებს თუ როგორ ეწირება საზოგადოების გაუკუღმართებულ ცხოვრების წესსა და ახირებებს მთავარი გმირი.



# Victim

By Davit Kldiashvili

Director: Soso Nemsadze
Designers: Tamar Chavchanidze, Beka Sadagashvili
Music Adapter: Soso Nemsadze
Director Assistant: Rusudan Giorgadze

Cast:
Lika Kevlishvili, Natia Meladze, Levan Rostomauli, Jemal Chulukhadze, Ilia Korkashvili, Turbend Revazashvili, Kishvard Manvelishvili, Dali Natelashvili, Kakha Beridze, Darejan Chamauri, Ana Chogovadze, Zurab Khinchikashvili, Maia Turashvili, Manana Tevdorashvili, Natia Tatulashvili

Duration: 90 minutes
Premiered in 2011

About Performance:
The work shows how the person is sacrificed perverted lifestyle and caprices of society.



# კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
## სოხუმი

თეატრის შესახებ:
სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი 125 წლისაა. მას მდიდარი ისტორია და შემოქმედებითი ტრადიციები აქვს. XX საუკუნის 90-იან წლებში, ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ, თეატრი იძულებული გახდა თბილისში გადმოსულიყო. სპექტაკლებს თამაშობდა სხვადასხვა თეატრის სცენაზე. ამჟამად წარმოდგენებს მართავს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრში. აქტიურად მონაწილეობს ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში.

მმართველი – მერაბ ბრეკაშვილი

# Konstantine Gamsakhurdia State Drama Theatre,
## Sokhumi

About Theatre:
Sokhumi's Konstantine Gamsakhurdia State Drama Theatre is 125 years old with a rich history of artistic innovations and traditions. In the 1990s, after upheavals of the Georgian-Abkhazian conflict, the theatre was forced to move to Tbilisi. For several years, theatre had no permanent place and was performing in different theaters in Tbilisi and regionally. The theatre is currently based at the Marjanishvili Theatre and continues to play an active role in Georgian theatre today.

საკონტაქტო პირი:
თამუნა დუგაშვილი (კოორდინატორი)
მობ.: +9955 93 205 208
E-mail: tamunadugashvili@yahoo.com
მისამართი : თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 8

Contact Person :
Tamuna Dugashvili (Coordinator)
Mob.: +9955 93 205 208
E-mail: tamunadugashvili@yahoo.com
Address : Tbilisi, Marjanishvili Str. 8
WWW.TEATRISOKHUMI.GE

# ჰომომორალესი

რაჰმან ჰაკინის ,,დამსჯელი14-ის“ მიხედვით

პრემიერა

სცენური ვერსია მირზა მაჩიტიძისა და ბექა ქავთარაძის
მხატვარი და რეჟისორი - ბექა ქავთარაძე
კომპოზიტორი - ვახტანგ მოსიძე
რეჟისორის ასისტენტი - ლელა ბესელია

მონაწილეობენ:
ვახტანგ მოსიძე, მირზა მაჩიტიძე, ანა სოხაძე, ლევან გელბახიანი

ხანგრძლივობა: 75 წუთი

სპექტაკლის შესახებ:
სპექტაკლის თემაა ომი – არა რომელიმე კონკრეტული, არამედ,ზოგადად ომი. დამსჯელი დაკითხვას უწყობს ოფიცერს, რომელიც მისი პატიმარია. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამ ორ ადამიანს შორის რაღაც განსაკუთრებული ურთიერთობა ყალიბდება. ისინი ხვდებიან, რომ საერთო ცოდვა და დანაშაული აერთიანებთ. ისინი განიცდიან და ინანიებენ შეცოდებებს.

# Homomorales

After Rahman Hakini

## Showcase Premiere

Scene Design: Mirza Machitidze and Beqa Qavtaradze
Director and Designer: Beqa Qavtaradze
Composer: Vakhtang Mosidze
Assistant to Director: Lela Beselia

Cast:
Vahtang Mosidze, Mirza Machitidze, Ann Sokhadze, Levan Gelbakhiani,

Duration: 75 minutes

About Performance:
It is again war - not any specific war, but war in general. The punishment officer is making an examination of another officer, who is his prisoner. After the long discussion, at last there is special relation between these two men. They understand that they have a common sin and crime. They express regret and repent.

# შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
## ზუგდიდი

თეატრის შესახებ:
ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დაარსების თარიღად 1867 წელი ითვლება, როდესაც მთავარ დადიანთა სამთავრობო კარის მიერ მოწვეულ კულტურულ მოღვაწეთა ხელშეწყობით ზუგდიდში გათამაშდა პირველი სპექტაკლი. იურიდიულად კი იგი სამართალმემკვიდრეა ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრისა, რომელსაც ეს წოდება საქართველოს კულტურის სახელმწიფო კომისარიატის მიერ 1934 წელს მიენიჭა.

მმართველი – მაია კალანდია

# Shalva Dadiani State Drama Theatre

## Zugdidi

About Theatre:
Zugdidi Shalva Dadiani State Drama Theater's history is traced from 1867 when the first performance was staged in Zugdidi with the support of cultural figures invited by the Dadiani, Dukes House of Megrelia.
The Theatre is legal successor of Zugdidi State Drama Theater established in 1934.

საკონტაქტო პირი:
მაია კალანდია
მობ. : +995 577 952 955
მისამართი : ზუგდიდი, თეატრის ქ. 2

Contact Person:
Maia Kalandia (Coordinator)
Mob. : +995 577 952 955

# სტუმარ - მასპინძელი

ვაჟა–ფშაველა



რეჟისორი - სოსო ნემსაძე
მხატვარი - მარიკა კორკელია
კომპოზიტორი - გიორგი მაისურაძე
ქორეოგრაფი - ირა კუპრავა

მონაწილეობენ:
გიორგი ფოჩხუა, გოგი გუგუჩია, ირაკლი სამუშია, თიკო შელეგია, ლანა ფიფია, მზექო ჩარგაზია, მერაბ კაკალია, ანდრო შამუგია, სესე მიქავა, ზურაბ ლაშხია, ლაშა ხიზანეიშვილი, ბაჩო ფიფია, ანანო სურმავა, რეზო ჯოჯუა

ხანგრძლივობა:60 წუთი
პრემიერა შედგა 2010 წელს

სპექტაკლის შესახებ:
კავკასიის მთებში მეზობლად ცხოვრობენ ხევსურები და ქისტები. ამ ორ თემს შორის საუკუნეობრივი შუღლი და მტრობაა. მთავარი გმირი – ჯოყოლა ზნეობრივად ამაღლებული ადამიანია. იგი ღამის გასათევად სახლში მიიპატიჟებს ხევსურ ზვიადაურს. მოგვიანებით მასპინძელი შეიტყობს, რომ სტუმარი ქისტების მოსისხლე მტერი და თავად ჯოყოლას ძმის მკვლელია. ვაჟკაცი მაინც არ ღალატობს სტუმარ-მასპინძლობის ადათს და თემის წინააღმდეგ ილაშქრებს, მაგრამ თემი ძლიერია. ზვიადაური, ჯოყოლა და მისი მეუღლე აღაზა ტრაგიკულად იღუპებიან.

# Host and Guest

By Vaja Pshavela



Director: Soso Nemsadze
Designer: Marika Korkelia
Choreographer: Ira Kuprava
Composer: Giorgi Maisuradze

Cast:
Giorgi Pochkhua, Gogi Guguchia, Irakli samushia, Tiko Shelegia, Lana Pipia, Mzeko Chargazia, Merab Kakalia, Andro Shamugia, Sese Mikava, Zurab Lashkhia, Lasha Khizaneishvili, Bacho Pipia, Anano Surmava, Rezo Jojua

Duration: 60 minutes
Premiered in 2010

About Performance:
The performance is staged after famous poem "Host and Guest" by Georgian classical author Vaja Pshavela describing the situation within two neighboring communities of high mountains societies of the Caucasus, including the destiny of hostile people. The main character is acting against the rules and customs of the community protecting his guest that quite accidentally arrived in his house , the person who turned out the murderer of host's brother.
Progressive behavior of Jokola to protect the rules and customs of hospitality is ended tragically and his family is sacrificed to the ideals of humanity and kindness.



# მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი
## ახალციხე

თეატრის შესახებ:
1967 წლის 23 სექტემბერს სამცხე-ჯავახეთის განახლებულ თეატრს მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი ეწოდა.
თეატრი საქართველოს სამხრეთ კარიბჭის ერთ-ერთი კულტურული კერაა, რომელიც მთლიანად რეგიონის მრავალეროვან მოსახლეობას ემსახურება.
მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, თეატრი მაინც ახერხებს ყველა სეზონზე 6-7 სპექტაკლი შესთავაზოს მაყურებელს. მოწვეულ რეჟისორებთან თანამშრომლობენ გამოჩენილი ქართველი სცენოგრაფები. მესხეთის თეატრს უმაღლესი ჯილდოები აქვს მიღებული საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებზე. თეატრი მთელი თავისი არსებობის მანძილზე წარმატებით მართავდა გასტროლებს საქართველოს დედაქალაქსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

მმართველი – ლია სულუაშვილი

# Meskheti State Drama Theatre
## Akhaltsikhe

About Theatre:
The first drama crew was formed in Meskheti over 150 years ago. Theater under the name Meskheti State Drama Theater was established later on 23 September 1967. Meskheti is one of the multicultural regions of Georgia and, the Theater from the very beginning of its function embarked on the course to build dialogue between Nations.
The Theater, in average, stages 6-7 performances during the year keeping an equal interests towards classic, modern, Georgian and International playwrights, therefore, the Theater is rich in its repertoire have staged such playwrights as Bertolt Brecht, Garcia Lorca, Georgi Eristavi, Zurab Antonov.
Meskheti Drama Theater often invites directors from various theaters of Tbilisi and other cities. Amongs guest directors there are Levan Tsuladze, Avtandil Varsimashvili, Joseph Nemsadze, George Shalutashvili etc.
Meskheti State Theater is a winner of numerous awards and prizes, and often enjoys successful tours within the country and beyond. The Theater stands for and, fosters new generation through high ethic and civic positions.

საკონტაქტო პირი:
ლია სულუაშვილი
ტელ.: +995593 27 93 63
E-Mail: mesxetis.teatri@mail.ru
მისამართი: ახალციხე, თამარ მეფის ქ. 6

Contact Person:
Lia Sulikashvili
Tel.: +995593 27 93 63
E-Mail: mesxetis.teatri@mail.ru
Address: 6, King Tamara st,. Akhaltsikhe;

# გველისმჭამელი

ვაჟა-ფშაველა



დადგმა და მუსიკალური გაფორმება სოსო ნემსაძის
რეჟისორის ასისტენტი - თამაზ იმნაძე
დამდგმელი მხატვარი - ლელა ფერაძე
კოსტიუმების მხატვარი - ნანა ყორანაშვილი
ქორეოგრაფი - ბაქარ ხინთიბიძე
ლოტბარი - ლელა ნაროზაული
რეჟისორის თანაშემწე – ლარისა მალხასიანი

მონაწილეობენ:
ლია სულუაშვილი, კონსტანტინე კახიშვილი, რაულ ბარბაქაძე, ლია გოგიძე,
მანუჩარ გოგოლაური, ნიკა გოგიძე, მიხეილ ბერიძე, მანანა ბერიძე, მარინა ჯინჭველაძე, ჯუნა თუმანიშვილი

ხანგრძლივობა: 90 წუთი
წარმოდგენა ერთ მოქმედებად

სპექტაკლის შესახებ:
ვაჟა-ფშაველა ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირზე გვესაუბრება. ბუნების შეცნობა ადამიანის სულს სისპეტაკეს მატებს, გონებას – სიბრძნეს.
ქაჯთა ტყვეობაში მთავარმა გმირმა – მინდიამ ბუნების ენა ისწავლა და გაქრა ყველა დაბრკოლება, ყველა ბარიერი, რაც ადამიანსა და ბუნებას აშორებს. მაგრამ, როცა მინდიამ შემეცნება და მისნური ალღო დაჰკარგა, უმწეო და უნუგეშო კაცად იქცა, რომელსაც მტერი სულ იოლად ამარცხებს.

# Gvelismchameli

Vazha-Pshavela



Stage and Musical Director - Soso Nemsadze
Assistant of the Director _ Tamaz Imnadze
Designer _ Lela Feradze
Costume Designer _ Nana Koranashvili
Choreographer _ Bakar Xintibidze
Bandmaster – Lela Narozauli
Second Assistant of the Director _ Larisa Malkhasiani

Cast:
Lia Suluashvili, Konstantine Kakhishvili, Raul Barbakadze, Lia Gogidze, Manuchar Gogolauri, Nick Gogidze, Mikheil Beridze, Manana Beridze, Marina Jinchveladze, Juna Tumanishvili

Running Time: 90 Minutes (no interval)

The Show:
Vazha-Pshavela talks about the harmony of human being and nature.
Acknowledgment of the nature gives the innocence to the human being's soul and wisdom to his mind.
Main hero – Mindia who was in captivity of devils studied the language of the nature and suddenly all the obstacles disappeared between the human being and the nature. But when Mindia lost magic instincts he became helpless and reckless and it was easy for the enemy to defeat him.



# ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
## ქუთაისი

თეატრის შესახებ:
ქუთაისის დრამატული თეატრი 150 წლისაა. 1861 წლის 3 მარტს სცენის მოყვარულებმა პირველი წარმოდგენა ითამაშეს. ქუთაისის პირველი პროფესიული დასი კი კოტე მესხის ხელმძღვანელობით შეიქმნა 1885 წელს. 1928 წელს ქუთაისში კოტე მარჯანიშვილმა დააარსა მეორე სახელმწიფო თეატრი. 1940 წელს ქუთაისის თეატრს მიენიჭა დიდი ქართველი მსახიობის, რეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის ლადო მესხიშვილის სახელი. თეატრის შენობა ოფიციალურად გაიხსნა 1955 წელს.
წლების მანძილზე აქ მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ლადო ალექსი-მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, გიგა ლორთქიფანიძე, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულიძე, აკაკი კვანტალიანი, იპოლიტე ხვიჩია და სხვები.
2009 წლის 30 მარტს თეატრის შენობას მიენიჭა კულტურულ-მემკვიდრეობითი ძეგლის სტატუსი.

სამხატვრო ხელმძღვანელი და მმართველი – გიორგი სიხარულიძე

# Lado Meskhishvili State Drama Theatre

## Kutaisi

About Theatre:
